სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

Legal Entity of Public Law - Gori State Teaching University

ბრძანება № 1-57

გორი 25 09 2017წ.

„სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის მობილობის/შიდა მობილობისა და სტუდენტის სტატუსის აღდგენის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ“ რექტორის 2017 წლის 19 ივლისის N1-36 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N125/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ,,სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის მობილობის/შიდა მობილობისა და სტუდენტის სტატუსის აღდგენის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ“ რექტორის 2017 წლის 19 ივლისის N1-36 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,, 7. აღდგენის მსურველი პირი, ვალდებულია სათანადო განცხადება რექტორის სახელზე წარმოადგინოს 2017 წლის 27 სექტემბრის ჩათვლით;“

2. ეს ბრძანება განთავსდეს სასწავლო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე და განთავსდეს სასწავლო უნივერსიტეტში ყველასთვის თვალსაჩინო ადგილებზე, მისი საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით;

3. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით;

4. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (თბილისი, უზნაძის №52), შემდეგ გორის რაიონულ სასამართლოში (გორი, ჯორბენაძის №30).

რექტორი გორგი სოსიაშვილი